№ 224. ოქტომბერი 28, ოთხშაბათი. 1887 ოქტომბერი 28, ოთხშაბათი № 224

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიქდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

ნაკვესი

ანუ

მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი.

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისს გარეშე ეს წიგნი იყიდება

გორში—ს. მგალობლიშვილთან.
ქუთაისს—ვ. ჭილაძის მაღაზიაში.
ხონში—ნ. წერეთლის მაღაზიაში.
ბათუმში—მ. ნათაძესთან.
ახალციხეში—ბ-ნ ალექსი სალარიძესთან, ძველს ქალაქში.

დაიბეჭდა და იყიდება

დამაკვირდი

ანუ

აფორიზმები, ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმულნი.

წიგნი შეადგინა „ივერიის“ რედაქციამ.

ფასი ათი შაური.

ახალი ამბავი

*** ტფილისის მოედნებზე აქა-იქ ურმებიდამ წვრილ-წვრილად იყიდება ღვინო. ვინც არ იცის გარემოება, ეგონება, რომ ეს ღვინო ჩამოაქვს თითონ ვენახის პატრონს გლეხსა და პირდაპირ მხმარებელზე ასაღებსო. მართლა რომ ასე იყოს, დიდი სარგებლობა იქნებოდა როგორც მყიდველისათვის, აგრეთვე მწარმოებლისათვისაც. მაგრამ ძნელი ის არის, რომ საქმე სრულებით სხვა გვარად დაუტრიალებიათ ჩვენებურ ჩარჩებსა. რაკი ჩარჩებმა მოჰკრეს ყური, რომ ქალაქის გამგეობა არ უშლის სოფლის ხალხს პირდაპირ მხმარებელთან დაიჭიროს საქმე თავის ნაწარმოების გაყიდვაში, მაშინათვე გაემგზავრნენ სოფლებისაკენ, იყიდეს ღვინოები, მოიპოვეს გლეხკაცის მოწმობა და ჩამოიტანეს რუმბები ტფილისში. იშოვნეს შიგ ტფილისში აგრეთვე ძველი დამტვრეული ურმები, რომელიც დააყენეს მეიდნებზე და დაიწყეს ღვინის გაყიდვა. მსურველი ადვილად დარწმუნდება, რომ იმ ურმების გადაგორებაც-კი შეუძლებელია, არა თუ სოფლიდამ მათზე ღვინის ჩამოტანა. ჩარჩებს რუმბები უწყვიათ სახლში, თითო-ოროლა გამოაქვთ მეიდნებზე და როცა დაიცლება ერთი რუმბი, მაშინათვე გამოიტანენ მეორესა და დასდებენ იმავ დამტვრეულ ურემზე. ღვინოს, რასაკვირველია, ისე აფუჭებენ, როგორც-კი შეიძლება და როგორადაც თავის დღეში გლეხკაცი ვერ გააფუჭებს, „არ დაიდებს ცოდვასა“. მუშტარს-კი ჰგონია, პირდაპირ სოფლის ღვინოს ვყიდულობო.

თუ მართლა რომელსამე გლეხს მოუვა აზრად ჩამოიტანოს თავისი ღვინო ურმით და წვრილ-წვრილად გაასაღოს, ვაი იმისი ბრალი ამ უწყალო ჩარჩების ხელში! მუშტარს არ მიაკარებენ, წინ გადუდგებიან, უძაგებენ ღვინოს, ეჩხუბებიან გლეხსა იქამდის, რომ სულ თავ-ბედს აწყევლინებენ და ბოლოს ნახევარ ფასად თითონ დაინარჩუნებენ სხვის საქონელსა.

ჩვენის ქალაქის გამგეობას ძრიელ დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რომ ამ მხრით მეღვინე-ჩარჩებმა ასე ხელ-აღებით არ გააცრუონ ხოლმე მისი დადგინება, რომელიც ისე სასარგებლოთა ქალაქისა და სოფლისათვის და რომელსაც ფრჩხილის ოდნავაც ვერ შეუსრულებია თავისი დანიშნულება.

*** ქართლი: 7-ს ამ თთვეს მეჯვრისხევში შემდეგი საცოდაობა დატრიალდა: დედა წასულა ვენახში და სამის წლის ბავშვი-გოგო სახლში დაუტოვებია მარტოდ-მარტო. ეტყობა, ბავშვს სახლში ჯდომა მოსწყენია, გამოსულა გარედ, ხეტიალი დაუწყვია და დედის საძებნელად წასულა. რასაკვირველია, სამის წლის ბავშვი ვენახს ვერ მიაგნებდა. უვლია, უვლია და ტყისაკენ გასულა. აქ ერთს კაცს ენახა საბრალო გოგო, მაგრამ ყურადღება არ ეთხოვებინა. როდესაც დედა მოსულა, ელდა სცემია. აქედ ეცემა თურმე, იქით და ბავშვი ველარსად იპოვა. მაშინვე წავლენ საძებნელად. ეძებეს, ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვნეს და მიანებეს თურმე თავი. ალბად ტყეში დაეძინა და მერმე ნადირმა გააფუჭა.

*** გორი: ადრევაც ვიწერებოდით, რომ ჩარჩები იკლებენ და ისაკუთრებენ სასწორზე ყველა ნაირს სანოვაგესა შუადღემდისა-მეთქი, მაგრამ ხმის გამცემი და გულ-შემატკივარი არავინა სჩანს, რომ ასეთი უწესოება არა ხდებოდეს და გორის მკვიდრთ არ აწუხებდნენ. დღესაც ისევ ისე პარპაშობენ სხვა-და-სხვა გვარი ჩარჩები—გორელები თუ ტფილისელები—და იკლებენ აქაურობასა. იმას არა სჯერდებიან, რომ სასწორზე იყიდონ, გზებში უხვდებიან გლეხებს და ხელიდამ ძალის-ძალათი ართმევენ.

*** იქიდამვე: სასწორს გარშემო ადგილი და ქუჩა ერთობ დაცემული და დაღრმავებული იყო; ზამთარ-ზაფხულ ამ ადგილას სულ მუდამ წუმპე და გაუვალი ტალახი იყო, ისე რომ ფაიტონებს და ურმებს სიარული უჭირდებოდათ; ამას გარდა ეს წუმპე საშინლად ყარდა. დღეს როგორღაც გული მოიბრუნეს, აამაღლეს ადგილი, ბლომად ქვიშა დაჰყარეს, გარშემო ღრმა არხები გაუკეთეს და აღარა დგება წყალი. თურმე ასე მალე და ადვილად შეძლებულა გაკეთება და აქამდის-კი გვარჩობდნენ. სწორედ ამაზეა ნათქვამი: თუ გული გულობს, ქადა ორის ხელითაც იჭმევაო.

*** გაზ. „Свѣтъ“-ი ამბობს, რომ დაღისტანში კეთდება სარწყავი სულაკის არხი 65 ვერსტზე. არხი გამოჰყავთ მდინარე სულაკიდამ, თემირხან-შურის ოლქის დაბლობებზე და მიაქვთ ქ. პეტროვსკისაკენ. ამ არხის გაკეთებისათვის ფული გამოუღიათ თითონ მცხოვრებელთა, ხოლო ცოტაოდეს დაჰხმარებია სამხედრო უწყება. საზოგადოდ ეს არხი ძალიან სასარგებლო რამ იქნება, რადგან მისის წყალობით 100,000 დღიური მიწა მოირწყვება. 45 ვერსტზე უკვე მუშაობს ეს არხი. რაკი მოჰხვდება წყალი პეტროვსკის მიწებსაც, რომელიც აქამდის მუქთად და უსარგებლოდ ეყარა უწყლობისა გამო, მაშინ ამ ქალაქის მიდამო სრულებით გაცოცხლდება და უეჭველია, მრავალ გვარ მრეწველობასა და სამეურნეო საქმეს მიეცემა ბედნიერი მსვლელობა იქაურობაშიო.

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ხმები დადის, ვითომც შავი-ზღვის ოლქი უნდა გადაასახელონ კავკასიის ზღვის-სანაპირო ოლქად და მიუმატონ სოხუმის ადგილებიც. ამ მხრის დიდი მნიშვნელობა გვაძლევს იმედსა, რომ რაკი მთელი ნაპირები ერთის მმართველის ხელში იქნება, უფრო მკვიდრად წავა საქმე რუსთა გადასახლებისა ამ ადგილებშიო.

ფელეტონი

შავი-ქვის მრეწველობა

I

რამდენჯერმე დავაპირე „ივერიის“ მკითხველებისათვის რამდენიმე სიტყვა მომეხსენებინა შავი-ქვის მადნებში მუშათა მდგომარეობასა და იმათს ავ-კარგიანობაზე, მაგრამ საუბედუროდ ყოველთვის ერთი და იგივე გარემოება მაბრკოლებდა ხოლმე. საზოგადოდ ჩვენში სამთო მრეწველობა ახალი საქმეა და, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი ნაკლულევანებაცა აქვს. სხვა ნაკლულევანებათა შორის უმთავრესი სტატისტიკის უქონლობაა. რამდენს ვეცადე გამეგო ზოგიერთი საჭირო ცნობები მუშების შესახებ; ხან მივმართე ჩემს ნაცნობებს, რომელიც მუდამ შავი-ქვის მადნებში სცხოვრობს, ხან ამ მადნების დასახედავად დანიშნულ სამთო ინჟენერს ვთხოვე მოეცა ზოგიერთი სტატისტიკური ცნობანი, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ეს თითქმის შეუძლებელი შეიქმნა. პირველი მწერდა, რომ აქაურ მრეწველების დავთრებში, თუ-კი ვისმეს აქვს (უმრავლესობას ამ გვარის ცნობების ჩაწერის საჭიროება არა სწამს) იგი, ეშმაკიც-კი ფეხს მოიტეხსო. იმის ანგარიშიც არა აქვთ, თუ წლის განმავლობაში რამდენი მუშა მუშაობდა; რამდენია ნამუშავარი; რას აძლევდნენ; ადგილობრივი მცხოვრებნი მუშაობდნენ, თუ მოსულნი; რამდენი იყვნენ ან ერთნი, ან მეორენი და სხვ.

სამთო მართველობა ყოველ წლის დამლევს მოსთხოვს ხოლმე თვითეულს მრეწველს მუშაობის ანგარიშს. მრეწველნიც უგზავნიან, მაგრამ ვაი ამ ანგარიშს! არც ერთი ციფირი არ არის ნამდვილი, სულ შეთხზულია და მასთან უხეიროდაც. ამ გვარ ანგარიშების შესადგენად, გარდა ერთიორისა, არავინ არც-კი ჩაიხედავს დავთარში, თუნდა ჰქონდეს კიდეც. სტატისტიკის მნიშვნელობა სრულიად არ ესმით. ინჟენერის თხოვნას ამის შესახებ უყურებენ როგორც ახირებულ ბავშვურ ცნობის-მოყვარეობას და აკმაყოფილებენ, რადგან სამთო მართველობის ინჟენერი ჩინოვანია, ოფიციალური კაცია.

სწორედ უსამართლობა იქმნებოდა ამ გვარად შედგენილ ცნობებით მეხელმძღვანელა და რაიმე აზრი წარმომეთქვა შავი-ქვის მრეწველობის ამ მხარეზე. მაშასადამე, თუ რამე მეთქმის შავი-ქვის მრეწველობაზე—ისევ იმის გამოყენებასა, საჭიროებასა და იმაზე, თუ რა ნაირად აკმაყოფილებენ ჩვენი მრეწველნი ამ საჭიროებას და სხვ.

ვიდრე ამაზედ ლაპარაკს დავიწყებდე, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გულითადი მადლობა გადავუხადო ბ-ნს ნიკ. ბეს. ღოღობერიძეს, რომელმაც გადმომცა მისგან საზღვარ-გარედ შეკრებილი ცნობები.

შავი-ქვის მრეწველობის შესახებ არა ერთხელ მქონია საუბარი „ივერიის“ მკითხველებთან. პირველ წერილებში ორიოდე სიტყვა ვთქვი შავი-ქვის საჭიროებისა და გამოყენების შესახებ; იქ ჩემი ყურადღება მიპყრობილი იყო თვით მუშაობის და ნამუშევარის გადმოტანასა და გაყიდვაზე. აქ ვეცდები სხვათა შორის მკითხველებს უფრო ვრცლად მოვახსენო, თუ რა მნიშვნელობა აქვს შავ-ქვას ტეხნიკაში. შეიძლება ამ წერილში ზოგიერთი რამ წინად ნათქვამიც განვიმეორო; იმედი მაქვს მკითხველი მომიტევებს ამ შეცოდებას.

შარშან და შარშანწინ „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო რამდენიმე შენიშვნა ამ მრეწველობის შესახებ. ვამბობდი, რომ თუ ამ რიგად წაიყვანენ საქმეს, რა რიგადაც დღემდის მიჰყავთ, მალე ჩვენს მრეწველებს პირში ჩალა გამოევლებათ-მეთქი.

მაშინვე ვურჩევდი, დროზედ დასდგომოდენ რიგიანს გზას და ეს ერთად-ერთი სამთო მრეწველობა, რომელიც ქართველების ხელში იყო, რიგიანად წაეყვანათ და დასაცინად და გასაკიცხად არ გაეხადნათ თავი. რადა ვართ ქართველები ღარიბებიო? მოდი და ღარიბი ნუ იქმნები, როდესაც ან უქმად ატარებ დროს, ან თუ საქმეს რასმეს იწყებ, იმასაც აშენებულს ფხვიერ საძირკველზე. სხვა არა იყოს-რა, ნდობა დაგვეკარგება, ხმა დაგვივარდება არა-სასიქადულო. ამ უცხოელებს თვალებს ხომ ვერ აუუბამთ? ხედავენ რა ნაირად ვშრომობთ, ოფლსა ვღვრით, მაგრამ უნაყოფოდ-კი. თუ სამუდამოდ სხვის მუშებად გვინდა დავრჩეთ, რასაკვირველია, წარმატებისათვის ცდას აქ რაღა ადგილი აქვს. მაგრამ ნუ თუ საკმაოა ერის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ფიზიკური მუშაობა, შრომა? თუ-კი ადამიანი არ ეცდება ბუნებისაგან მინიჭებული ჭკუა და გონება გამოიყენოს, თუ-კი იგი არ ეცდება თავის ჭკუის გამჭრიახობით აღმოაჩინოს საშუალება თავისა და თავის მოძმეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განა ის ადამიანი ადამიანია?!.

მრეწველობა ისეთი საქმეა, რომელიც თხოულობს ამ საქმეში გამოცდილებას, ჭკუას და ხერხს. როგორც იარაღ აყრილი მომარი ვერ იყარგებს ბრძოლის ველზედ, ისეთივე უამთვისებლად არ ვარგა მრეწველი. შარშანვე ეტყობოდა, რომ ამ საქმეს მომავალში ცუდი შედეგი ექმნებოდა. ერთმანერთის ჯიბრით თუ სხვა მიზეზით შარშან ძალიან ბევრი ქვა იქმნა გატანილი, ასე რომ სხვა ადგილებიდამ მოტანილიანად ინგლისში ამ წლისათვის დარჩა შარშანდელი 400,000 ფ. ჩვენის ქვეყნიდამ გატანილი იყო:

ტფილისიდამ[1])	. .	6,600 ფ.
გომიდამ[2])	. .	252,100 ფ.
ძირულიდამ	. .	101,700 ფ.
ყვირილიდამ	. .	3,433,702 ფ.
აჯამეთიდამ[3])	. .	19,200 ფ.
სულ.	. .	3,813,302 ფ.

---

[1]) ტფილისში მოაქვთ სოფ. ჩხავების ახლო მდებარე მადნებიდამ. სოფ. ჩხავათა ტფილისიდამ 52 ვერსის სიშორეზეა სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ღირსებით ეს ქვა შორაპნის მაზრის ქვაზედ ნაკლებია, მხოლოდ 44% წმინდა ლითონისა (Mn.).

[2]) შორაპნის მაზრიდამ მოაქვთ აქა.

[3]) აჯამეთიდამ 10 ვერსის მოშორებით არის სოფელი ნაგრევი (ქუთაისის მაზრა). ამ სოფლის ახლო მდებარე ადგილში, სახ. ზრუნვის-კეეში, აღმოჩნდა შავი-ქვა;

⁂ მომრიგებელ-სასამართლოს პირველ განყოფილებიდამ ამ დღეებში მოუპარავთ საქმეები. ქურდს შერჩეულის გასაღებით გაუღია შკაფი, გამოუღია სია საქმეებისა, ჟურნალები, რამდენიმე ქაღალდები მიმომდინარე მიწერ-მოწერისა, ჯამაგირების ტალონები და სხვანი. თუმცა სასტიკად ეძებენ, მაგრამ ქურდი ჯერაც არ აღმოუჩენიათ. («Тиф. Листокъ»)

⁂ ამ თთვის პირველ რიცხვებში ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ მცხეთობას დაიკარგა ერთი ახალგაზდა ტფილელი ცხენოსანი ყმაწვილი, გიორგი შაველოვი, რომელიც მცხეთიდამ აღარ დაბრუნებულა. დღეს გაზეთ „Нов. Обоз.“-დამ ეტყობულობთ, რომ ამ ყმაწვილის გვამი იპოვნეს თავად მუხრან-ბატონის მამულში, დიღმის გასწვრივ, მტკვრის ნაპირზედა. საქმე გამომძიებლისათვის გადაუციათ.

შეცდომის გასწორება: გუშინდელს „ივერიის“ მე-223 №-რის მეთაურში შემდეგი ადგილებია შეცდომით დაბეჭდილი: პირველს გვერდზე, მესამე სვეტში, მე-6 სტრიქონში ქვემოდგან დაბეჭდილია მწერლო, უნდა იყოს მწერლობა. ამავე გვერდის მე-4 სვეტში და მე-14 სტრიქონში ზემოდგან დაბეჭდილია სასაუბრო ენა, უნდა იყოს—სამწიგნობრო ენა. ამავე სვეტში შემდეგი ხუთი სტრიქონი: „ეხლა დავეკითხოთ იმათ, ვინც ეგრედ წოდებულის ძველის ენის წინაალმდეგნი ბრძანდებიან, რისთვის არ უნდა ვსარგებლობდეთ ძველის ენითა?“, უნდა იყოს წერილის სულ ბოლოში მოქცეული.

ვეფხის-ტყაოსანი

ხალხის მიერ თქმული.

(გაგონილი და ჩაწერილი კახეთში ალავერდობას სოსიკო მაჭავარიანის მიერ*).

ნესტან

უთხარ ტარიელ მოვიდეს
იარაღისა ლესითა;
თუ არ მოვიდა, დავიწვი
ვითა აბედი გვესითა.

ტარიელ

მითხარ და წაველ არაბეთს,
სისხლი ვადინე რუებით;
ტყვეები თან წამოვასხი
ერთმანერთს დაკიბულები;
ხაზინა თან წამოვიღე
ჯორ-აქლემს აკიდულები...
თავი ცოცხალი რაღა მინდა,
თუ ჩემად არ მეგულები.

ნესტ.

ტარიელ ძლიერ მიყვარხარ,
გავზრდილვარ შენსა მკლავზედა,
თუ შენ თავს მომაშორებენ,
თავს ჩამოვიბამ ყელზედა;
წავალ და დავიკარგები,
გადავარდები კლდეზედა.

ტარ.

ყური მივუგდოთ უფალსა,
ვნახოთ რას გვეტყვის იმედსა;
წავალ და იქ მივუხტები,
ხალხი რომ დაიძინებსა

—

ავდექი, ჯაჭვი ჩავიცვი,
მკლავი გამოვიყურთმაჯე;
წაველ, ჯარში გავერიე,
თავი მოვიყიზილბაშე;
განცა მკითხავს: „სად მიდიხარ?“
ცხენი გამომექცა მაკე.
სანეფოს კარავს მივუხტი,
ჩავჭკარ-ჩავაფურთულაკე;
სანეფოს თავი მოვგლიჯე,
ისიც ბოძზე მივუნაყე.
თუ ჩემსას არ დაიჯერებ,
მობძანდი და შენცა ნახე.

ნესტან

დავესწარ ცისა გახსნასა
და ქვეყნის დაბადებასა;
თუ ეს სიტყვა მართალია,
ნეტა ჩემ გახარებასა.

მამა

ტარიელ, დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჯობინე;
გინდოდა ნესტან-დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე?
არც შენ მოგცემ, არც იმასა,
ორთავეს დაგათმობინებ;
დავიბარებ ხუროებსა,
კიდობანს შევაკვრევინებ;
შიგ ჩავსვამ ნესტან-დარეჯანს,
ზღვას მივცემ, წავაღებინებ.
დაიბარეს ხუროები
ნებითა განა ძალითა;
კიდობანს აკვრევინებენ
ქვებითა, ვარაყებითა;
შიგ ჩასვეს ნესტან-დარეჯან
თავ-კლიტე გადაჭედითა;
შიგ სამი გველი ჩაუსვეს,
ერთმანერთისა ცქერითა.
ერთი ამბობდა: „შევჭამოთ,
მეორე: „მოთმინებითა“,
მესამე ამბობს: „ნუ შევჭამთ,
მზე არის ამის ქებითა“.

ავთანდილ

ჰა, ძმაო ტარიელო,
ამბითა სავსე მოვდივარ,
განა თუ ცარიელო.

ს. მ.

---

*) ამ ლექსის მთქმელმა მიამბო, რომ გლეხმა ცეცხლაშვილმა, მცხოვრებმა სოფ. შილდაში, და კიდევ ერთმა ღრმად მოხუცებულმა სოფ. ყვარელში (გვარი ვერ მოიგონა) კარგად იციან ხალხური ვეფხის-ტყაოსანიო. როგორც ახალგაზდა მხატვარმა ვასილ გოლოვნიამ გადმომცა, გორის მახლობლად ერთმა მოხუცებულმა მებაღემ მშვენივრად იცის იგივე პოემაო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ქურდამირი (შემახის მაზრა). ერთს უმთავრესს ყურძნის მადნად უნდა ჩაითვალოს სოფ. ქურდამირი, რომელიც მდებარეობს ბაქოს გუბერნიაში, შემახიის მაზრაში, ორ ვერსზე რკინის გზის სადგურიდგან. ქურდამირელები დიდის ხნიდგან ეწევიან ვაზისა და ვენახის მუშაობას, მხოლოდ ძველებურად, როგორც მამა-პაპას უმუშავნია, ჩაჭვლეკენ ვაზს მიწაში, წვერს მიუკვრენ თუთის ხეზე და ეს არის, აღარც გასხვლა, არც დაბარვა, არც გადაწიდვნა და სხვა; ამით თავდება მთელი მათი ვენახის გაშენება, მორწყვის გარდა. ქურდამირის ვენახები იგივეა, რაც იმერეთის მაღლარი-ვენახი, ყურძენი მალიან ტკბილია და მოსავალი აუარებელი იცის. ქურდამირელების აზრით სხვა წესით აქ ვენახის გაშენება შეუძლებელია, არ მოვა—ფუჭდებაო. მაგრამ ამ აზრის წინააღმდეგ მოგახსენებთ ერთს ამბავს, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ ქურდამირის ახლო-მახლო არამც თუ შეუძლებელია სხვა წესით, ესე იგი გინდ ევროპიულად, ვენახის გაშენება, არამედ ძლიერ ადვილად შესაძლებელი და მოსახერხებელია. ოთხი თუ ხუთი წელიწადი იქნება, რაც ბ-ნმა ისაკოვმა აიღო ქურდამირელებისაგან იჯარით ოც-და-თორმეტი დღიური მიწა, რომელიც ზედ ქურდამირის რკინის გზის სადგურთან მდებარეობს. მხოლოდ ოც დღიურზე გააკეთა, გააშენა ვაზი როგორც ამიერკავკასიისა, ისე საზღვარ-გარეთიდგან მოტანილი. უნდა ნახოს ეხლა კაცმა თავის თვალით ეს ვენახი, რომ დარწმუნდეს, რა მშვენივრად შეუთვისებია სხვა-და-სხვა მხრის ვაზს და აქაურსაც—ადგილობრივს მიწა, წყალი და ჰავა; ამასთანვე არამც თუ დაუკარგავს თავისი თვისება და ხასიათი, არამედ მომატებია. ბ-ნის ისაკოვის ვენახი თუმცა სამის წლის გაშენებულია, მაგრამ წელს 500 ვედრო ღვინო მისცა. ბევრი ცუდად მოხსენება და დაცინვა მოზდიოდა და ესმოდა ბ-ნს ისაკოვს ამ ვენახის გაშენებაზე, მაგრამ მაინც თავის აზრს არ უღალატა, არ დაზოგა ფული და ღვაწლი, გააშენა იმისთანა სანაქებო ვენახი, რომ ამ მხარეს იშვიათია; ამითი დაუმტკიცა ადგილობრივ მცხოვრებთ, რომ ახალის წესით—ევროპიულად ვენახის გაშენება ბევრად სამჯობინარო და სასარგებლო ყოველის მხრით, მანამ ძველითა.

ქურდამირის მცხოვრებნი, როგორც მაჰმადის სარწმუნოებისანი, არ ეწევიან ღვინოს და, რასაკვირველია, არც იმის კეთებას; მხოლოდ აკეთებენ ტკბილ სასმელს, ესრეთ წოდებულ დოშაბს (მგზავსია ქართულ ბადაგისა). ღვინოს აკეთებენ აქ სომხები, სხვა-და-სხვა მხრიდგან მოსულნი, წელიწადში არა ნაკლებ 135 ათას ვედროსი და ასაღებენ რუსეთში მატრასის ღვინის სახელით. რადგანაც აქაურის ღვინის თვისება ძლიერი სიტკბოა, მწლაკვი, უგემური, ამის გამო ამ უკანასკნელ წლებში რუსეთშიაც აითვალწუნეს ქურდამირის ღვინოები და აღარა აქვს გასავალი. ღვინის გამყიდველი, ბ-ნ ქალანთაროვი, რომელიც დიდ-ძალ ღვინოს აკეთებდა ქურდამირში და ასაღებდა რუსეთის სხვა-და-სხვა ბაზრებში, დღეს სრულებით აღარ ეკარება ქურდამირის ღვინოს, რადგან რუსეთში გასავალი აღარა აქვსო. ქალანთაროვმა თავი დაანება ქურდამირს, მაგრამ გერმანელებმა და ქალაქის ღვინის ვაჭრებმა აუშვეს ფეხი. ელიზავეტოპოლის გუბერნიის კოლონისტები—გერმანელები, როგორც მოგეხსენებათ, სხვა მეურნეობასთან ეწევიან ვენახებსაც, მაგრამ საცივის გამო ყურძენი კარგად არ მწიფდება, და ამიტომაც ღვინო მჟავე და მდარე დგება. რომ დაატკბონ თავიანთი ღვინო, გერმანელები მოდიან ქურდამირში, ყიდულობენ ყურძენს, მიაქვთ, ურევენ თავიანთს ყურძენს, სწურვენ ერთად თურმე და ჩინებული ღვინო კეთდება—აღარც შაქარი და აღარც სპირტია საჭირო. წელს

მეტი 1885 წელზედ (2,602,000 ფ.) 1,211,302 ფუთით. მოთხოვნილებაც თუმცა ამდენისა იყო, მაგრამ სხვამ დაასწრო და სწორედ იმ დროს, როდესაც უფრო იყიდება, შავი-ქვა ინგლისში შემოიტანეს სხვა კუთხიდამ, სახელდობრ ჩილიდამ (რესპუბლიკაა სამხრეთ ამერიკაში). როგორც ანგარიშიდამ სჩანს, სწორედ ჩილიდამ შემოტანილის შავი-ქვის რაოდენობა აღემატება მოთხოვნილებას. ამის გამო იმას-კი ნუ იფიქრებთ, ვითომ ჩილის ქვა დარჩენილიყოს გასასყიდლად, არა,—ჩვენი ქვა, დროზედ არ მიტანილი, დარჩა წრევანდელ წლისათვის. დროზედ ვერ მიიტანეს უგზოობისა გამო; გზა არა აქვთ იმიტომ, რომ წინ-დაუხედავნი, უთაურნი, შურით სავსენი არიან. ასეთი თვისება ყველა საქმეს შეაფერხებს. რიგიანი გზა-კი რომ ჰქონოდათ, მადნებიდამ დროით გამოიტანდენ და გაჰგზავნიდენ, ასე რომ ჩილიდამ გამოტანილს მიუსწრობდენ. გარდა ამისა შეეძლოთ ფასები დაეწიათ საზღვარ-გარეთის ბაზრებზე და ამით ჩილელები განედევნათ იქიდამ. ახლა-კი უგზოობისა გამო ჩვენგან მიტანილი შავი-ქვა გაცილებით ძვირად ჯდება ჩილიდამ მიტანილზედ, თუმცა ღირსებით ჩვენი ქვა უკეთესია.

II

საკვირველად მიჰყავთ შავი-ქვის საქმე ჩვენში. არავითარი ოფიციალური ცნობები არ იშოვება არსად ჩილის მადნების შესახებ. სულ საიდუმლოებით არის მოცული.

კერძოდ-კი იციან, რომ მრეწველთა ყურადღება მიიპყრო ამ 5-ის წლის წინად აღმოჩენილმა მადნებმა. მაშინვე შეუდგნენ მუშაობას და უნდოდათ ეს ქვა გაეგზავნათ იქ, სადაც საჭირო იყო, მაგრამ ნავთ-სადგურამდის მიტანა იმდენად ძვირად უჯდებოდათ, რომ იძულებულნი იყვნენ მუშაობაზე ხელი აეღოთ. წინად აღმოჩენილ მადნების სიახლოვეს, სახელდობრ პროვინცია კოკინბოში 1882 წ., აღმოჩნდა კიდევ შავი-ქვის მადნები, რომლის შემუშავებას შეუდგნენ 1884 წ. ამ წლის განმავლობაში გამოტანილი იქმნა 2,360 ტონი (146,320 ფ.) და 1885 წელში 4,567 ტონი (283,154 ფ.); სულ 6,927 ტონი (429,474 ფ.).

მადნები ადვილი სამუშაოა, რადგან ზევიდამ თხელი კეცი მიწა აღევს და ამ მიწის აღების შემდეგ ქვას იღებენ, ასე რომ არც გვირაბების გაყვანა სჭირდებათ და არც სხვა მოწყობილება უნდა და ამიტომაც ადგილობრივ მუშაობა იაფად უჯდებათ. თუმცა მადნები რკინის გზის ახლოა, მაგრამ ნავთ-სადგურამდის მიტანა მაინც საკმაოდ ძვირად უჯდებათ. ჩილის შავი-ქვა შეიცავს წმინდა ლითონ Mn-ს 45-დამ ვიდრე 55%-მდე, მაშინ-როდესაც შორაპნის მაზრის ქვა შეიცავს 53-დამ ვიდრე 58%-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ მადნებიდამ ნავთ-სადგურამდე რკინის გზით გადატანა უჯდებათ ძვირად, მიუხედავად იმისა, რომ ნავთ-სადგურიდამ ინგლისში ზღვით მოტანა გაცილებით ჩვენზედ ძვირად უჯდებათ, მაინც ჩილის მრეწველებს ისე კარგად მიჰყავთ საქმე, რომ ლამის მთელს ქვეყანაში კავკასიის სახელ-განთქმული შავი-ქვა სრულიად განდევნონ ევროპის ბაზრებიდამ. ახლა იქ (ს, იაგოში) შემდგარა ამხანაგობა, რომელსაც თანხად დაუდვია 50,000 გირვ. სტერლინგი; ეს ამხანაგობა აწარმოებს საქმეებს.

1886 წ. ჩილიდამ გამოტანილ იქმნა 18,607 ტონი[4]). უმეტესი ნაწილი ამ რიცხვისა ინგლისში იქმნა შეტანილი.

ევროპის ბაზრებს ჩვენის და ჩილის შავი-ქვის გარდა კიდევ სხვა ადგილებიდამაც მოსდით ეს ქვა. ხელთა მაქვს ლონდონში დაბეჭდილი ოფიციალური ცნობები, თუ საიდამ რამდენი იქმნა შეტანილი ინგლისის ქალაქებში. ჩემის აზრით ეს ცნობები ფრიად საყურადღებო უნდა იყოს მკითხველებისათვის და ამისათვის მომყავს აქ. სამწუხაროდ მე ხელთ მაქვს მხოლოდ 1884 და 1885 წწ. სრული ცნობები[5]).

საიდამ წაუღიათ ინგლისში	1884 წ.	1885 წ.
ავსტრალიიდამ (ქ. ადელაიდა).	701	710
ამერიკიდამ (ინგლისის ნაწ.)	148	535
რუსეთიდამ (საქართველო)	5,115	28,089
შვეციიდამ	1,193	1,497
ბელგიიდამ	787	207
საფრანგეთიდამ.	873	255
იტალიიდამ	360	—
პორტუგალიიდამ	6,812	3,495
ისპანიიდამ.	5,988	2,519
ოსმალეთიდამ (ტრაპიზ.)	1	765
ამერიკის შეერთ. შტატებიდამ	567	2,822
ჩილიდამ (სამხრ. ამერიკაში რესპუბლ.) . .	2,360	4,567
ისლანდიიდამ (კუნძული).	—	1,130
ახალ მიწიდამ (კუნძულ.)	1,143	990
სულ. .	26,048	47,581
ინგლისს ირლანდიითი საკუთარი შავი-ქვა უხმარია	1,688	909

მე მგონია მკითხველებისათვის საყურადღებო იქმნება ისიც, თუ სხვათა შორის რომელ ქალაქში რამდენი შეუტანიათ. აი ეს ცნობებიც:

რომელ ქალაქში	1884 წ.	1885 წ.
ლონდონში.	1,199	1,902
ლივერპულში.	8,132	20,487
კარდიფში	—	1,657
ფლეეტფოტში	7,147	2,939
მიდლსბროოში.	4,370	10,075
ნიუკასტლში.	1,129	797
სვანსეაში	2,465	6,161
გლაზგოში	1,273	1,652
სხვა წვრილ ქალაქებში.	333	1,911
სულ. .	26,048	47,581

როგორც ამ ცნობებიდამ ხედავთ, ევროპის ბაზრებს ბევრ ადგილებიდამ მოსდის შავი-ქვა, მაგრამ ყველაზედ მეტი-კი ჩვენგან გააქვთ. არის ისეთი ადგილები, საიდამაც 1885-ს წელს ან სრულიად აღარ მიუტანიათ, თუმცა 1884 წ. მიეტანათ, ან თუ მიუტანიათ, წინანდელზე ნაკლები. მაგალითად:

ბელგიიდამ 1885 წ. ინგლისში შეუტანიათ 1884 წ. ნაკლები . . .	580 ტ.
საფრანგეთიდამ . . .	618 ტ.
იტალიიდამ სრულიად არა შეუტანიათ-რა.	
პორტუგალიიდამ . . .	3,317 ტ.
ისპანიიდამ.	3,469 ტ.
ახალ მიწიდამ . . .	153 ტ.
საკუთარი ქვა ინგლისს უხმარია ნაკლები. . . .	779 ტ-თ

სამაგიეროდ მეტი შეუტანიათ:

ავსტრალიიდამ. . .	9 ტ-ნით მეტი
ამერიკიდამ (ბრიტან. ნაწ.)	387 —
საქართველოდამ . .	22,974 —
შვეციიდამ . . .	304 —
ოსმალეთიდამ . .	764 —
ამერიკიდამ (შეერთ. შტ.)	2,255 —
ჩილიდამ (რესპ.). .	2,207 ტ.

კუნძ. ირლანდიიდამ 1884 წ. სრულიად არა იყო-რა შეტანილი და 1885 წ.-კი 1130. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ 1884 წ. ინგლისში საქართველოდამ შეუტანიათ 1/4 იმისა, რამდენიც საჭირო იყო; 1885 წ.-კი საქართველოდამ შეუტანიათ სხვა ადგილებიდამ შეტანილზედ მეტი 8,597 ტონი.

განი

(შემდეგი იქნება)

---

[4] ინგლისური ტონი უდრის 62 ფ. 2 გ. და 11 მისხ.

[5] აქ მოყვანილი ციფრები ნიშნავს ინგლისურ ტონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელებმა ქურდამირიდგან წაიღეს ყურძენი სამოც-და-ათი ვაგონი.

ტფილისის ღვინის მოვაჭრენიც ბლომად ეზიდებიან აქედგან ღვინოს, აურევენ აქაურს ტკბილ ღვინოს სხვა-და-სხვა მაზრების მომჟავო ღვინოებსა და შემდეგ კახურ ღვინოდ ასაღებენ.

ქურდამირის ყურძენი არც ჩვენმა გამოჩენილმა ღვინის მოვაჭრემ თ-მა ზ. ა. ჯორჯაძემ დასტოვა უყურადღებოდ, თუმცა, როგორც შევიტყე, თ. ჯორჯაძეს 1885—1886 წ. ბლომად უყიდნია აქაური ღვინო დაყენებული სომხებისაგან და ამ ღვინოებში ძალიან უზარალნია, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს იმედი ქურდამირის ყურძენზე; ამის გამო არა ზოგავს ფულს, რომ აქაურის ყურძნისაგან დააყენოს კარგი ღვინო, მოაშოროს მეტის-მეტი სიტკბო და მისცეს კარგის ღვინის თვისება. წელს ჯორჯაძემ გამოგზავნა ქურდამირში თავისი ნასწავლი ღვინის მკეთებელი, უ. იონათამიშვილი, რომელმაც ბლომად იყიდა ყურძენი და ისაკოვის მამულში გააკეთა—დააყენა ღვინო თავისებურად და გაგზავნა „ბოჭკებით“ ქ. ტფილისში. ამბობენ, უკეთუ ჯორჯაძეს ეს ცდა კარგად მოუვიდა, ესე იგი, მოაშორა მეტის-მეტი მწლაკვი სიტკბო აქაურ ღვინოს, მაშინ დიდ ღვინის ქარხანას გაჰმართავს ქურდამირშიო. ვისურვებ, რომ თ. ჯორჯაძეს შეუსრულდეს თავისი კარგი აზრი.

ილია მაჭავარიანი

აგიოგრაფია

როგორც ისტორიული მასალა.

წინად, როდესაც ისტორიის დანიშნულება ერთ მხრივი იყო და ამ მოკლე ფორმულით ითქმოდა: „historia—magistra vitae“, მაშინ მრავალ გვარი ისტორიული მასალები უყურადღებოდ რჩებოდა. ეხლა ისტორიას გარდა პრაქტიკულ მნიშვნელობისა, აქვს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა, როგორც ფართო ასპარეზს საისტორიო კრიტიკისათვის. ყოველი გროვა გამოუკვლეველ და ხელ-უხლებელ მასალებისა წარმოადგენს დიდ კრიტიკულს ინტერესსა. ავიღოთ, მაგალითად, აგიოგრაფია, რომლის მნიშვნელობაზე ორიოდე სიტყვას მოვახსენებ მკითხველს.

აგიოგრაფიას, ანუ წმ. მამათა ცხოვრებას, საზოგადოებაში გავრცელებულის აზრით, აქვს მხოლოდ ერთად-ერთი საბიბლიოგრაფიო მნიშვნელობა. უმრავლესობას ჰგონია, რომ აგიოგრაფიას ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. კარგად რომ დავაკვირდეთ ამ ისტორიულის მასალის შინაარსსა, დავრწმუნდებით, რომ ეს აზრი უსამართლო და უსაფუძვლო აზრია. აგიოგრაფიას აქვს როგორც გამომკვლევლისათვის, ისე საზოგადოებისათვის მრავალ გვარი მნიშვნელობა: სალიტერატურო, საკრიტიკო, საისტორიო და შემდეგ ამისა საბიბლიოგრაფიოც. ერთის სიტყვით, აგიოგრაფია არის ფრიად საყურადღებო ისტორიული ნაშთი, რომელიც ერის წარსულს ცხოვრებას ახალს ნათელსა ჰფენს.

წმ. მამათა ცხოვრება შეიცავს ორს ნაწილს; ეს ორი ნაწილი საკმაოდ განირჩევა ერთმანერთისაგან თვისებითა. თავდა პირველად წმ. მამათა ცხოვრება არის ნამდვილი ორატორული, სამჭერმეტყველო თხზულება; აგიოგრაფია ჰგავს საეკლესიო ქადაგებას, რომლის შინაარსი არის სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ჭეშმარიტება. ავტორი ამ ჭეშმარიტებათ განიხილავს არა განყენებით, არამედ მაშინ, როცა მოუთხრობს რომლისამე სახელ-განთქმულის მოღვაწის ამბავს. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარ თხზულებაში უმეტესს ნაწილად ფორმა უპირატესობს შინაარსზედ; აქ შინაარსი ექვემდებარება ერთხელვე დაწესებულს კანონს. ეს გარემოება უპირველესი დაბრკოლებაა, რომელიც ხელს უშლის ისტორიკოსსა და უძნელებს საისტორიო ამბავის გამორკვევას. დასავლეთის ნაყოფიერი საისტორიო მეცნიერება გვიმტკიცებს, კრიტიკული განხილვა წმ. მამათა ცხოვრებისა იქიდამ უნდა დავიწყოთ, რომ ჯერ ფორმა უნდა შევიგნოთ და შევისწავლოთ. ამ გვარად აგიოგრაფიაში ორი რამ არის შესანიშნავი: ერთია სალიტერატურო ნაწილი და მეორე—საისტორიო.

აგიოგრაფია თავდა პირველად მარტივი ბიოგრაფია ყოფილა. შემდეგ ბიოგრაფიას მიჰმატებია ხოტბა-სიტყვაობა, რომელსაც საგნად რომლისამე ისტორიულის გარემოების აღწერა-კი არა ჰქონია, არამედ გაუთავებელი ქება-დიდება რომლისამე წმ. მოღვაწე კაცისა. ქება-დიდება იხსენიებს წმინდანის სხვა-და-სხვა სასწაულთ-მოქმედებას. დასასრულ, თვით ბიოგრაფიას და ხოტბა-სიტყვაობას მიემატა ორატორული წინასიტყვაობაც. აგიოგრაფია სრულებით ყურადღებას არ აქცევს ისტორიოგრაფიულ საგნებს; იგი წარმოადგენს იმ გვარ თხზულებას, რომელშიაც დიდი ადგილი მჭევრ-მეტყველობას უჭირავს. მაგრამ მალე ჩნდება იმ გვარი მამათა ცხოვრებანი, რომელთაც აზრად აქვს უფრო ისტორიული საგანი, მისი სინამდვილე, ვიდრე ზნეობრივი ჭეშმარიტებანი. იმ მოღვაწე წმ. მამის შესახებ, რომელმაც სამშობლოს ღვაწლი დასდვა და რომელსაც პირადად თვით აგიოგრაფია იცნობდა, ეს უკანასკნელი სწერს იმ გვარ ამბებს, რომელიც საზოგადოებას უფრო შეეხება, ვიდრე კერძო კაცსა. მე მაგალითად ვიცი ამ გვარი ქართველი აგიოგრაფი, რომელიც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებას მოგვითხრობს. რასაკვირველია, რომ თავადთა და მეფეთა ცხოვრებებში უფრო ბევრს ისტორიულ სინამდვილეს ვიპოვით. აგიოგრაფნი თან-და-თან ცდილობენ მოღვაწენი ისტორიულ ასპარეზზედ დაგვიხატონ. საზოგადოება ზრდის იმათ, ვინც სადმე უდაბნოში მონასტრებს აშენებს. მოწაფეს ამ განდეგილისა დიდას მოწიწებით იგონებს მასწავლებლის ნაღვაწსა და ცდილობს სინამდვილე აღწეროს და დასტოვოს საშვილი-შვილოდ. ამისთანა ცხოვრებანი უფრო თანამედროვე მკითხველთა—თვის იწერება. აქ მოხსენებულია ნაღვაწი ფრიად ღირს სახსოვარის მოხუცისა, რომელიც წარმოადგენს ნამდვილას კაცურის მოვალეობის აღმასრულებლის მაგალითსა.

ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ აგიოგრაფიის ორ გვარი მნიშვნელობა: სალიტერატურო და საისტორიო. არა-უკანასკნელი ადგილი უჭირავს კრიტიკას ამ წმ. მამათა ცხოვრების შესწავლის დროს. ჩვენ ვიცით, რომ წმ. მამათა ცხოვრებანი იწერებოდა ან სულიერის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ან რომლისამე წოდების გულისათვის. ეს წმ. მამათა ცხოვრებანი საზოგადოებაში ძალიან ჩქარა ვრცელდებოდა, რადგანაც იგი აკმაყოფილებდა მკითხველ საზოგადოების მოთხოვნილებას. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. მწერალნი, რომელნიც ნამდვილად პირს გადმოიღებდნენ, თავისას ბევრსაც უმატებდნენ და ამიტომაც მალე ჩნდება მრავალ ნაირი ვარიანტები. შემდეგ თვით ცხოვრებანი ვთარდებიან, ასე რომ უნდება რამდენიმე რედაქცია. ჩვენ ხელში გარდება ერთი და იგივე მამათა ცხოვრება, მხოლოდ სხვა-და-სხვა რედაქციით და ვარიაციებით. რასაკვირველია, განურჩევლად არ უნდა მივიღოთ ვარიანტი ისტორიულ სინამდვილესთან დაახლოვებული და მეორე-კი უარ-ვყოთ. ჯერ პირველად განვიხილავთ კრიტიკულად, გავჩხრიკავთ და ამ შემუშავებულ მასალაზე ჩვენს ცნობებს დავამყარებთ. რომ ამ სხვა-და-სხვა ვარიანტების შედარებას დიდი კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, ამაში ეჭვი არ არის.

საზოგადოდ წმ. მამათა ცხოვრების ავტორებს უყვარდათ თავიანთ თავზე ბევრი ლაპარაკი, მაგრამ, ისტორიულ ჭეშმარიტების მომავალო მეძიებელო! შენ ვერ აღადგენ აგიოგრაფიის ნამდვილ სახეს, მის პორტრეტს; იმისი ცოცხალი არსება განმსჭვალულია საზოგადო თვისებით; იგი შემოსილია ორატორულის სამოსელით, უფრო გატაცებულია თავის მსმენელ საზოგადოებითა, ვიდრე თვით საგნის შინაარსით. აგიოგრაფს სულ სხვა შეხედულობა აქვს კაცისა და საზოგადოების დანიშნულებაზე, ვიდრე ჩვენ XIX-ის საუკუნეს შვილებსა. ჩვენ სხვაფრივ ვაფასებთ განუწყვეტელ ბრძოლას ისტორიულ სტიქიონებისას; ეს სტიქიონები—კერძო კაცი და საზოგადოებაა, რომელშიაც პირველი მოქმედობს. ჩვენთვის ამ ორის ძალის საურთი-ერთო დამოკიდებულება ყველაზე საინტერესოა. კერძო კაცი იმდენად საყურადღებოა, რამდენადაც მან ამ საურთი-ერთო ბრძოლაში შეიძინა შინაგანი ძალა და თვით-მყოფელობა და რამდენათაც იგი უფრო მაღლა სდგას საზოგადოებაზე თავის ზნეობრივისა და გონებრივის განვითარებით. სულ სხვა აზრია წმ. მამათა ცხოვრებაში: კერძო კაცი აგიოგრაფიის აღწერაში ყოველ მხრივ სამაგალითოა საზოგადოებისათვის; დაბადებიდგანვე იგი მასწავლებელია, მქადაგებელი, ზნეობისა და სარწმუნოების გამავრცელებელი; თვით საზოგადოება წარმოადგენს მხოლოდ გარეგან დაბრკოლებას. საზოგადოება შინაგანის ძალით უძლურია და კერძო კაცს ვერ აძლევს მხარსა. ამ გვარად აგიოგრაფის პორტრეტების აღდგენა ძალიან ძნელია; მაგრამ იმისი სხვა-და-სხვა თვისების ანალიზი, მათი გამოკვლევა კრიტიკულად უნაყოფო არ იქნება. ამ თვისებათა შემწეობით შეგვიძლიან შევიტყოთ ის აზრები, რომელიც აგიოგრაფს სწამდა და რომელსაც იმაზედ დიდი გავლენა ჰქონდა. ასეთი ფართო მნიშვნელობა აქვს აგიოგრაფიას და ჩვენც, ქართველებმა, უნდა ვისარგებლოთ ამ ძვირფასის მასალითა; ეს მასალა სრულიად სხვა შუქსა ჰფენს სამშობლო ისტორიას. აქ მაგონდება ივერიის მე-159 №-ის მეთაური წერილი. იქ სწერია: „ვინ არ იცის, რომ ჩვენს მონასტრებში და ძველის-ძველ ეკკლესიებში მრავალი საისტორიო განძი მოინახება, რომ გული გულობდეს. ჩვენი ისტორია, ჯერ კრიტიკის ცეცხლში არ-გატარებული, ბევრს საბუთსა და მოწმობას მოიპოვებდა, მრავალის ბნელის ადგილების შუქ-მოსაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილის ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ არჩენია ჩვენთა მამა-პაპათა ხელით ნაქმართა და ჭკუის ნამოქმედართა. ეხლა ყოველივე ეს დამარხულია მონასტრებისა და ან ეკკლესიების სალაროში“. ამ წერილის ავტორთან ერთად ვაღიარებ, რომ ამ დაფარულის მასალების გამოაშკარავება, მათის სიების და კატალოგების შედგენა, მათი ერთ ადგილას დაფუძნება დიდად სასურველია და სანატრელი. მხოლოდ საქმე ამათ არ უნდა შეჩერდეს. ეს მასალები ერთ ადგილას იქნება შეკრებილი და ჩვენის ნასწავლის კაცების წარმომადგენელნიც, რომელთაც აღთქმად მიაჩნიათ ჩვენის წარსულის შესწავლა, გაფანტულნი არიან სხვა-და-სხვა ალაგას. საჭიროა იმისთანა „ორგანო“ დაარსდეს ჩვენში, რომელსაც შეეძლოს მათ შორის ზნეობრივისა და გონებრივის კავშირის დაფუძნება. ეს შემაკავშირებელი „ორგანო“ იქნება მომავალი ჩვენი „საისტორიო საზოგადოება“. მხოლოდ ამისთანა საზოგადოების დაარსების შემდეგ იქნება შესაძლებელი ჩვენის სამშობლო ისტორიისა და მისის წინ-სვლის შესწავლა საერთო ღონითა და მეცადინეობით. ამ შემთხვევაში ცოტაოდენს ღვაწლს ქართული სტუდენტობაც მოუტანდა სამშობლო ისტორიას. მაგალითად ვიქონიოთ „საისტორიო საზოგადოება სტუდენტობისა“, რომელიც დაარსა ბერლინში გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა რანკემ; მაგალითადვე ვიქონიოთ პროფესორების ნიჩის და ნისსენის წინამძღოლობით დაარსებული „სტუდენტების საზოგადოება“, რომელმაც მშვენივრად შეისწავლა და კრიტიკულად გამოიკვლია „რომაელთა ანნალისტიკა“. ყველა ეს ნაყოფიერი მეცადინეობის შედეგი დასავლეთ ევროპისა ჩვენგნით არ უნდა იყვეს დავიწყებული.

ა. გარსევანაშვილი

მოსკოვი

წვრილი ამბები

— ბერლინის სტატისტიკურის ცნობებიდგან სჩანს, რომ მარტო გერმანიის სატახტო ქალაქში 2,000 რუსი ცხოვრობს.

— ვატიკანს ამ ოც-და-ათის წლის წინად ერთმა ამერიკაში გადასახლებულმა იტალიელმა ტორნიონიმ უანდერძა 30 მილიონი მანათი, მხოლოდ იმ პირობით, თუ გარდაცვალებულს ტორნიონს არც ერთი ნათესავი არ აღმოუჩნდებოდა. პაპა პიი მე-IX დროს ეს სამკვიდრო გარდაეცა კარდინალს ანტონელლის. ეხლა გამოსჩენია ამ სამკვიდროს პატრონი, ესეც გვარად ტორნიონია და კამერონში ცხოვრობს.

— ამერიკელ ანარხისტებს დეპუტაცია გაუგზავნიათ ლონდონში გლადსტონთან, რომ კლივლენდის მეგობარი ხარ და სთხოვე ამერიკის პრეზიდენტს, ნუ დასჯის შვიდს დასასჯელს ანარხისტს ჩიკაგოდგან და დანაშაული აპატიოსო.

— ფლორენცია ამას წინად დღესასწაულობდა თავის უნივერსიტეტის დაარსების 500 წელს. ამ იუბილეის მაერ სხვათა შორის გამოწვეულ მოგონებათა უნდა ითქვას, რომ 1373 წელს ბოკკაჩიო ამოირჩია უნივერსიტეტმა ფლორენციის მკვიდრთა თხოვნით, დანტეს თხზულების გაუგებარ ადგილების ასახსნელად. ბოკკაჩიომ სან-სტეფანოს ეკკლესიის კათედრიდგან წაიკითხა ლექცია. ლექტორს უნდა ეჩვენებინა „საშუალება სათნოების მოსაპოვებლად“. ეხლა, როდესაც ამ ამბის შემდეგ ხუთმა საუკუნემ გაიარა, ძნელად წარმოსადგენია, როგორ უნდა ყოფილიყო ბოკკაჩიო სათნოების მქადაგებლად და მერე ისიც ეკკლესიის კათედრიდგან.

— დიდი მწყალობელი აღმოჩენილა სულთანი ჩარლზ დილკის. სულთანს ჩარლზ დილკისათვის უბოძებია დიდი ვარსკვლავი „მეჯიდიე“ და დილკის ცოლისათვისკი ორდენის კალიფატის ნიშნები. ამასთან უთქვამს დილკის ცოლისათვის, რომ განკარგულება მოვახდინე და ჩქარა გადასთარგმნიან ოსმალურს ენაზედ თქვენს უკანასკნელს თხზულებას „საკურთხეველი სიკვდილისაო“.

— დინამიტით თავის-მოკვლა. ერთ ქვა-ნახშირის მადნებში მისლოვიჩს ახლო ერთი მადნის მომუშავე ძალიან გულ-ნაწყენი ყოფილა იმის გამო, ჯამაგირი ცოტა რად მეძლევა შრომას დაგვარადაო. ამ ჯავრით მომუშავეს მკერდზედ ჩამოუკიდნია დინამიტის გუდა, მოუკიდებია ცეცხლი პატრუქისთვის და დამჯდარა თავის კარის დარეზედ. გუდა აფეთქებულა და ისე ძლიერად, რომ თავის-მკვლელი სულ ნაკუწ-ნაკუწად უქცევია და სახლში ფანჯრის მინები დაუმტვრევია.

— თუ რამდენი სამწერლო მასალა იხარჯება ქალაქის სამმართველოს მიერ, სჩანს ბერლინის საბჭოს ამ უკანასკნელ წლის სამწერლო ხარჯის ანგარიშიდგან. ამ უკანასკნელს წელიწადს ზემოხსენებულს საბჭოს დაუხარჯავს 5.592,638 თაბახი ქაღალდი, 31,380 კალამი, 15,552 შავი ყარანდაში, 5,631 სხვა-და-სხვა ფერის ყარანდაშა, 1,785 ლიტრა მელანი, 339,635 კონვერტი და გექტოგრაფიაში გამოყვანილი ქაღალდი 12,577 თაბახი.

— Glyon-ში Mantreux-ის ახლო შემდეგი საზარელი ავაზაკობა მომხდარა. ერთს ადგილობრივს მამულთ-მეპატრონეს ყელი გადაუღადრავს კალმის დანით თავის მდგმურის გლეხის პატარა ოთხის ყმაწვილისათვის, იმ დროს, როდესაც ყმაწვილებს მამა შინ არა ჰყოლიათ. ერთი ყმაწვილი გარდაცვლილა; დანარჩენი სამნი-კი ცოცხლები არიან და სამკურნალოში გაუგზავნიათ. რაც შეეხება მკვლელს, ჩაუდენია თუ არა ეს საშინელი ბოროტ-მოქმედება, შესულა ოთახში და თავი ჩამოუხრჩვია. ჯერ-ჯერობით მიზეზი ამ საზარელის ავაზაკობისა ვერ შეუტყვიათ.

— პროფესორ ბილროტს ამას წინად სამკურნალოში ლექცია წაუკითხნია მუცლის გაჭრაზედ და სხვათა შორის უამბნია ერთი ამბავი, რომლის დროსაც მუცლის გაჭრის მაგიერ კართოფილი უხმარია პატივცემულს პროფესორს და ამითი მოურჩენია ავადმყოფი. თორმეტის წლის ყმაწვილს თამაშობის დროს ლითონისა რაღაც ნაჭერი წაუყლაპავს. მუცლის გაჭრის მაგიერ პროფესორს უხმარია ის საშუალება, რასაც ინგლისის ქურდები ხმარობენ ძვირფასის ნივთების მოპარვის დროს. ეს ქურდები ძვირფასს ნივთს რომ მოიპარვენ, ჩაჰყლაპავენ ხოლმე, რათა დამალონ იმ დრომდე, ვიდრე დაეძებენ ნივთებსა. რამდენისამე დღის შემდეგ ბევრს კართოფილსა სჭამენ და ამ გვარად ნივთებს გამოიღებენ ხოლმე. ესევე საშუალება უხმარია პროფესორ ბილროტს ყმაწვილის მოსარჩენად და მოურჩენია კიდეც. «მე ბევრისაგან ბევრი რამა მაქვს ნასწავლიო, უთქვამს ბილროტს,—მაგრამ იმას-კი ვერ წარმოვიდგენდი ჩემს დღეში, თუ ჯიბგირებისა და ქურდებისაგანაც ვისწავლიდი რასმესაო».

გასართობი

ბერლინში გამოჩენილა ვილაცა ახირებული ადამიანი, რომელსაც კაცს შეუძლიან ჰიგიენის და ჯან-მრთელობის ფანატიკოსი დაუძახოს. ეს ადამიანი პოლიციაში მსახურობს, გვარად დ. და მთელი თითქმის მუზეია აქვს შედგენილი ნუმერ დასმულ ძვლებისა და ხორცის ნაჭრებისა. თუმცა ეს დ. აგერ რამდენიმე წელიწადია ერთსა და იმავე სასტუმროში სჭამს სადილსა, მაინც სასტუმროს პატრონს არ ენდობა და თავის დღეში ბოლომდე არ გაათავებს თავის კერძს საჭმლისას. კერძიდგან ყოველთვინა სტოვებს რამდენსამე ძვალს, ცოტაოდე ხორცსა, თევზის ნაჭერს და სხ. ეს ნაჭრები მიაქვს სახლში, ნუმერს უსვამს, რიცხვს აწერს და დავთარში სწერს, რომ ამა-და-ამ რიცხვს ესა-და-ეს ნაჭრები მოვიტანეო. შემდეგ დრო გამოშვებით წიგნს ასწორებს, ძვლებსა

ნაჭრებს თვალ-ყურს ადევნებს. ას[illegible]ობით ამ კაცმა იცის, თუ რა საჭმელი აწყენს და რა არგებს. ამას გარდა ასევე იქცევა ტანისამოსის შესახებაც. მრეცხავს იშვიათად აძლევს საცვალს გასარეცხად, რადგან მრეცხავი დედაკაცი ათასის კაცის ტანთ-საცვალსა ჰრეცხავს და შეიძლება სხვის ავადმყოფობა ჩემს ტანისამოსს გადმოედოსო. ამ გვარად შეიძლება ჩქარა იმ აზრს დაადგეს ეს ახირებული ადამიანი, რომ სულ საჭირო არ არის თეთრეულის ტარებაო. თუ მე გავრეცხე თეთრეული, ჯანს შევალევ ზედა და თუ მოსარეცხს მივცე, ავადმყოფობა გადმომედება რამე სხვის თეთრეულისაგანაო, ასე ჰფიქრობს ეს კაცი. მიზეზიც ეს არის ალბად, რომ ისეთის ახირებულის ტანისამოსით დადის ყოველთვის. არც ტანისამოსის მკერვალს აკერვინებს ტანისამოსს, რადგან მკერვალი ათასს ადამიანს უკერავს ტანისამოსს, ვაი თუ ავადმყოფს და ქირიანს შეუკეროს ვისმე და იმის ტანისამოსიდგან ჩემს ტანისამოსს და ჩემის ტანისამოსიდგან მე გადმომედოსო. ამის გამო თითქმის შიშველ-ტიტველი დაიარება და ერთის ტანისამოსის მეტი არა აქვს თურმე. დ.-ს ორი სახლი უჭირავს, ერთში ზემოხსენებული მუზეუმი აქვს გამართული და მეორეში-კი თითონა ცხოვრობს. აბა ჰიგიენის მსხვერპლი თუ გინდათ, ეს არის, აი!..

* *

ამ პირველზედ არა ნაკლებ ახირებული კაცი გამოჩენილა ვარშავში. ეს მეორე ახირებული კაცი ვლადისლავ კ.-ია, პირ-იქით, სრულიად არ ადევნებს თვალ-ყურს ჰიგიენას და ოთხის წლის განმავლობაში ექვსჯერ დაუწერია ჯვარი და ცოლი შეურთავს. პირველად კ.-ს ცოლი შეურთავს კელცაში, მაშინ, როცა ოც-და-ექვსის წლისა ყოფილა. ქორწილის ორის თვის შემდეგ გაუქურდავს თავისი მეუღლე და გაქცეულა გალიციაში. აქ ხშირად უცვლია სახელი და გვარი, ორი წელიწადი უცხოვრია და სახლი სახლზედ უქირია. ამ ორს წელიწადში სამჯერ შეურთავს ცოლი და ჯვარი დაუწერია. როცა პოლიციას შეუტყვია ამ კაცის ამბავი, დაუჭერიათ, მაგრამ კ. გაქცეულა პრუსიაში და იქ მეხუთე ცოლი შეურთავს. ამ დროს პრუსიის მთავრობას განუდევნია თავის სახელმწიფოდგან რუსეთის ქვეშევრდომნი, კ. იძულებულ ქმნილა რუსეთში დაბრუნებულიყო და ამიტომ მლავის ახლო-მახლოებში დაბინავებულა. ორის თვის შემდეგ კიდევ შეურთავს ერთი ახალგაზდა და მზითვიანი ყმაწვილი ქალი; ამ ქალთან დიდხანს არ უცხოვრია, ამას წინად გაქცეულა ვარშავში და მზითევში მოყოლებული ფულიც თან წაუღია. ვარშავში კ. დაუწყვია ერთს ფაბრიკაში მუშაობა, მოსწონებია ფაბრიკის მეკარეს ქალი, მეშვიდედ სდომებია ჯვარის დაწერა, მაგრამ მეექვსე ცოლს მიუგნია ამ კაცისათვის ვარშავში და უჩივლია. კ. დაუჭერიათ და აღმოჩენილა, რომ ექვსის ცოლის ქმარი ყოფილა. ვინ იცის, კიდევ რამდენი ცოლი შეირთოს კ.-მ, რადგანაც ეხლაც გაქცეულა და არ იციან, თუ სად იმალება.

დეპეშა

26 ოქტომბერი

ბერლინი. «საიმპერიო უწყებაში» დაბეჭდილია შემდეგი: როგორც ახლად მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, სან-რემოში ამ დღეებში შესდგება კრება ექიმებისა; ამ კრებაზე ლაპარაკი ექმნებათ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა უწამლონ მემკვიდრე პრინცს გერმანიისას. იმპერატორი ჰგზავნის პრინცს ვილჰელმს რამდენისამე დღით სან-რემოში, რათა არა მარტო წერილით შეატყობინონ, თუ რას დაადგენენ ექიმები, არამედ თვით ვილჰელმმაც სიტყვიერად აცნობოს ყოველივე გარემოება.

დღეს ბირჟაზე გავრცელდა ხმა, რომ თავადი ბისმარკი ავად არისო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა.

ლონდონი. ექიმი მაკენზი დაიბარეს სან-რემოს გერმანიის მემკვიდრე პრინცთან, რომელსაც ისევ აუტყდა ყელის ავადმყოფობა.

სოფია. ფილიპოპოლსა და სოფიას შუა გამართულია რკინის გზით მისვლა-მოსვლა. პიროტსა და სოფიას შუა რკინის გზით მისვლა-მოსვლა დაიწყება მარტში.

27 ოქტომბერი

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, რომ გასაადვილებლად სადამოჟნო მეთვალყურეობისა, რათა გაარჩიონ საზღვარ-გარეთის სამანუფაქტურო ნივთეულობა რუსეთში გაკეთებულ ნივთებისაგან, შემოღებულ იქნება, რომ უეჭველად დაღი იქმნას დასმული რუსეთის საქონელზედ.

პარიჟი. გუშინ დაიწყო სასამართლოომ კაფარელლისა და იმის თანამონაწილეთა საქმის გარჩევა. კაფარელლმა აღიარა, რომ დამოკიდებულება მქონდა ლიმუზენთან, ხოლო ამტკიცებდა: არავითარიმე ანგაარი განზრახვა არა მქონდა და მარტო იმას ვიყავ მოწადინებული, რომ ამ მხრით გამეუმჯობესებინა როგორმე ჩემი შევიწროებული მდგომარეობაო.

პეტერბურგის ბირჟა, 23-ს ოქტომბ.

ფასები:

	მყიდველისა მან.	კ.	გამყიდველისა მან.	კ.	გაყიდულისა მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	—	›	—	›	8	93
ტამოჟნის კუპონები	—	›	—	›	178	
მანათიანი ვერცხლის ფული	—	›	—	›	1	32
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი	—	›	—	›	245 3/4	
— მეორისა	—	›	—	›	102	
გირავნობ. ფურცელნი:						
ტფილისის ბანკისა	—	›	99		—	›
ქუთაისის ბანკისა	—	›	99 1/2		—	›
ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	›	83 3/4		—	›

„ივერიის“ ფოსტა

ქ. ქ—სს გ—ლ ი—ნეს მე გვ—ნს. „მოხუცი გუდი“ იმიტომ არ დაიბეჭდა, რომ ჩვენს გაზეთში უკვე დაბეჭდილია; იხ. შარშანდელი „ივერია“ მე-163 №-რი. ზღაპრები გამოგვიგზავნეთ და თუ გამოდგება—დავბეჭდავთ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

28 დღე ოთხშაბათი. წმ. ტერენტისა და დიდის მოწ. ნეოფიტე ურბნელისა. კათოლ. წმ. სვიმონისა და მოციქ. იუდასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—42, ჩადის 4—46. მთვარე 24 დღისაა.

29 დღე ხუთშაბათი. ქალწ.-მოწ. სტრიასი. სომეხ. წმ. იოანე ოქროპირისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—43, ჩადის 4—45. მთვარე 25 დღისაა.

30 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ზინობისა, დისა ზინობიასი და მოციქ. მარკოსისა. კათოლ. ღვთის-მსახურება იესო ქრისტეს ტანჯვასა და წამებაზედ. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ომარ-ხანს განზრახვა ჰქონდა, რომ თავს დასცემოდა საქართველოს, გადაივიდა ალაზანს 20,000 ლეკით და ტოპ-ყარაღაჯთან დაიბანაკა, 1800 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—45, ჩადის 4—44. მთვარე 26 დღისაა.

31 დღე შაბათი. წმ. მოციქ. სტაქოსი, ლირს. სპირიდონისა და ნიკოდიმესი. სომეხ. ყოველთა წმიდათა, ძველთა და ახალთა. მუს. მე-26 რიცხვი თთვისა საფარისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—გენერალ-მაიორნი ლაზარევი და გულიაკოვი წავიდნენ ორის ბატალიონით სიღნაღსა და იქ დახვდათ 10,000 ქართველნი, ომარ-ხანთან საბრძოლველად განმზადებულნი, 1800 წ.—ტფილისში დაარსდა ამიერ-კავკასიის სამუსიკო საზოგადოების სასწავლებელი, 1871 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—46, ჩადის 4—45. მთვარე 27 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა	3	›
› 2 ›	2 1/2	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	›
› › 2—	3 1/2	›
› › 3 ›	3	
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	5	›
მე-2 ხარისხისა	4	›
მე-3 —	›	›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა	7	›
› 2 ›	6	›
სუკი	13	›
ცხვრის ხორცი	7	›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხის.	›	›
› 2 ›	›	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემა მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო [illegible] ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 29-ს ოქტომბერს, შუა-დღისას, თორმეტ საათზე, მისივე თანადასწრებით უნდა მოხდეს ვაჭრობა და იჯარით გაიცეს შიოევისეული ქარვასლა, რომელიც ეხლა ეკუთვნის ქალაქს და მდებარეობს აბანოების შესავალთან. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში დილის ცხრა საათიდგან ორ საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა. (3—2)

სომეხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის სამზრუნველო რჩევაში 11 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, გამართული იქმნება ვაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით გაიცეს სემინარიის უძრავი საკუთრება (განსვენებულ არუთინ ოქოევის მიერ შეწირული), რომელიც იმყოფება რიყეზე, მე 46 №-რი. ამ იჯარის პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელიარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმის დღისა, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—1)

ისყიდება

თოფის-წამალი

წვრილ-წვრილად და ნარდადაც

იაგორ გინკაჩის საწყობში. ფასის შეტყობა შეიძლება გოლოვინის პროსპექტზე, მე-17 №-ი, სასტუმრო „როსიას“ გვერდზედ, იარაღის გამკეთებელ ოსტატ კურცთან. (4—3)

ტფილისის სომეხთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველო რჩევის მიერ ნოემბრის 18-ს რიცხვს საღამოს 8 საათზედ გამართული იქმნება ვაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით გაიცეს სემინარიის ძველ შენობის მაღაზიები, რომელიც ზემოხსენებულ შენობის ქვემო სართულში იმყოფება. ამ იჯარის პირობათა შეტყობა შეიძლება სემინარიის სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეთა გარდა, დილის 10-დგან 12 საათამდე. (3—2)

მიიღება ყოველ გვარ განცხადებათა ბეჭდვა ახლად შედგენილს «საქართველოს კალენდარში», მომავალის 1888 წლისათვის. ფასი განცხადებათა ძლიერ იაფია; მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ნ. ზუბალოვის სახლებში. (6—5)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მ.	კ.
ქილილა და დამანა, ვახტანგ მეე-ქვსისა	3	›
ვისრამიანი, სარგის თმოგველისა.	1	50
სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა	›	50
დავითიანი, დავით გურამიშვილისა	1	›
თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა	1	›
ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა	›	50
ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა.	›	30
თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა.	›	40
მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა	‹	30
დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა	›	20
რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე.	›	10
სურამის ციხე, ჭონქაძისა	›	20
ბატონიშვილისპირველი დრო, ალ. ორბელიანისა.	›	30
თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა.	›	1
ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა.	›	20
ქართულიგამოცანები, რაფაელ ერისთვისა.	›	5
იგავ-არაკი რაფაელ ერისთავისა.	›	25
განკიცხული, მოხწუბარიძისა	›	50
ციკო, მისივე.	›	30
პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა	›	10
მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა	›	10
ბაგრატ მეოთხე, მისივე.	›	20
მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე.	›	10
ვახტანგ მეექვსე, მისივე.	›	1
დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა.	›	15
არითმეტიკა, დიდებულიძისა.	›	50
არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა.	›	
წითელი ფარანი, თარგმანი.	›	15
ზაფხული, ჯუღელის რედაქციით.	›	2
ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა	›	10
ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა	›	5
არსენას ლექსი	›	5
ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი.	›	15
ქართული ანდაზები.	›	10
თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა	›	4
ირაკლი მეორის გლოვა	›	5
ალი, ნ. ლომაურისა	›	30
დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა.	›	20

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

	მ.	კ.
დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა	„	30
ბუნების კარი, მისივე	„	75
კოკორი, მისივე	„	10
კონა, მისივე	„	50
ხომლი, მისივე	„	30
კუნწულა, მისივე	„	40
დედანი, მისივე	„	30
შალვას თავ-გარდასავალი, გაზ. ცახელისა	„	20
ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა	„	30
თხზულებანი ანტონოვისა	1	„
მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა	„	60
სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა	„	30
ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით	3	„
მშვენი სიტყვა	„	20
ნაკვესი	„	20
ქართული მწერლობა:		
1) გურამიშვილი	„	20
2) საბა სულხან ორბელიანი.	„	15
ქართული ქრისტომატია ნასიძისა	„	70
საქართველოს საეკლესიო ისტორია, მ. ჯანაშვილისა.	„	45
საქართველოს მოკლე ისტორია, მისივე	„	60
დამაკვირდი, „ივერიის“ რედაქციის გამოცემა	„	50

Дов. цен. Тиф. 27 октября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. · რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე